ნინო ლომსიანიძე

არქიტექტურის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა

ვარშავის ტექნოლოგიისა და ხელოვნების უნივერსიტეტი,

პოლონეთი

,,Erasmus+ გაცვლითმა პროგრამამ საშუალება მომცა, ჩემი ცოდნა და გამოცდილება გამეღრმავებინა არა მხოლოდ განათლების მხრივ, არამედ ცხოვრებისეულად. 2026 წლის გაზაფხულის სემესტრი გავატარე ვარშავის ტექნოლოგიისა და ხელოვნების უნივერსიტეტში, სადაც შევხვდი საინტერესო ხალხს სხვადასხვა ქვეყნიდან. ეს გამოცდილებმ ხელი შემიწყო, გავცნობოდი მრავალ განსხვავებულ კულტურას, მათთვისაც ამაყად გამეზიარებინა საქართველოს ისტორია თუ ტრადიციები და დამეგროვებინა დაუვიწყარი მოგონებები შეძენილ მეგობრებთან ერთად.

გაცვლითმა პროგრამამ სრულიად შეცვალა ჩემი წარმოდგენა არქიტექტურულ განათლებაზე. ევროპულ უნივერსიტეტში სწავლა დამეხმარა დამეპროექტებინა სივრცეები არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ მდგრადი განვითარების კონტექსტში ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით.

უცხო ქვეყანაში ცხოვრებამ ახალი გამოწვევებისა და პასუხისმგებლობების წინაშე დამაყენა, რამაც ხელი შეუწყო ჩემს პიროვნულ ზრდას და ენობრივი თუ კულტურული ბარიერების გადალახვას. ასევე საშუალება მომეცა გავცნობოდი არა მხოლოდ პოლონეთის, არამედ სხვა ევროპული ქვეყნების ქალაქებს და მენახა მათი კულტურა.

მიხარია, რომ კავკასიის უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა, გამომეყენებინა ეს შანსი. ძალიან მადლიერი ვარ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის პერსონალის, რომლებიც ყველა ჩემს უამრავ კითხვას და მცირე პრობლემებსაც დაუზარელად, დიდი პასუხიმგებლობით უდგებოდნენ.

ყველას ვურჩევ, რომ დარეგისტრირდეს Erasmus+ გაცვლით პროგრამაზე და გრძელი პროცესების მიუხედავად, არ გამოტოვოს ეს შესაძლებლობა.